



საქართველოს პარლამენტის და
საპრეზიდენტო შუამდგომლობის
აპეალის განხილვის პროცესის
რეგისტრაცია

**ქიჩინაძის მიზნები და რეკონსტრუქციები
საპრეზიდენტო პროცესში ელექტრონული
შედეგების გამოყენებისათვის
დაკავშირებით**



მანვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
CENTER FOR DEVELOPMENT AND DEMOCRACY



განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
CENTER FOR DEVELOPMENT AND DEMOCRACY

©2023, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)



შესავალი

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული, წარმომადგენლობითი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც 2008 წლის 26 თებერვალს დაარსდა. ორგანიზაციის პრიორიტეტული მიმართულებებია: ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა, დემოკრატიის განმტკიცება და კანონის უზენაესობის დამკვიდრება, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და არჩევნების მონიტორინგი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, მოქალაქეთა ინტერესების ადვოკატირება და მათი ინფორმირებულობა მიმდინარე რეფორმებისა და პროცესების შესახებ.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი 2012 წლიდან მოყოლებული აქტიურად აკვირდება საარჩევნო პროცესების მიმდინარეობას საქართველოში. CDD-იმ არჩევნების დაკვირვების საერთაშორისო პრინციპებითა და მეთოდოლოგიით, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, 2010-2022 წლებში განახორციელა 21 სხვადასხვა სახის არჩევნების მონიტორინგი.

CDD მობილური ჯგუფების მეშვეობით, დააკვირდა 2023 წლის 29 აპრილის საქართველოს პარლამენტის შუალედური, მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე და საკრებულოების შუალედურ არჩევნების მიმდინარეობას (საარჩევნო უბნის გახსნას, კენჭისყრის პროცესს, უბნის დახურვასა და შედეგების შეჯამებას) N70 ფოთის, N66 ხობისა და N64 სენაკის საარჩევნო ოლქებში შემავალ იმ უბნებზე, სადაც ელექტრონული ტექნოლოგიები გამოიყენებოდა.

დაკვირვების პროცესში ყურადღება ექცეოდა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობას და ეფექტურობას, საარჩევნო უბნებისა და კომისიების მზაობას, ამომრჩეველთა ინფორმირებასა და ქცევას, პროცედურების განხორციელების სიზუსტესა და თანმიმდევრობას, არჩევნების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და სტანდარტების დაცვას. CDD-ის სადამკვირვებლო მისია აგრეთვე დააკვირდა ქუთაისის N2 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ წინასაარჩევნო მდგომარეობას და ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულების/ მსჯავრდებულების ინფორმირების პროცესს.

სადამკვირვებლო მისიის განხორციელებას საფუძვლად დაედო ვენეციის კომისიისა და ეუთო/ODIHR-ის მიერ, საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტებთან დაკავშირებით 2022 წლის 2 დეკემბერს გამოქვეყნებულ ერთობლივი მოსაზრებები, სადაც აღნიშნულია, რომ: „ახალი ტექნოლოგიის მკაცრი ტესტირება



მომავალი არჩევნების წინ ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, მიზანშეწონილია ცესკოს მიერ საპილოტე პროექტების შემდგომი შესწავლა, რაც იქნება არჩევნებთან დაკავშირებული ტექნოლოგიების სამომავლოდ უფრო ფართოდ გამოყენებისათვის ეფექტური დაგეგმვისა და განხორციელების მთავარი ინსტრუმენტი. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ელექტრონული საშუალებების პირველად გამოყენება იყოს სათანადოდ დაგეგმილი და წინასწარ მომზადებული, განხორციელდეს ამომრჩეველთა ეფექტური განათლება და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენინგი და სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის გასაძლიერებლად მიღებულ იქნას ყველა ზომა“.¹

აღსანიშნავია, რომ CDD-ის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში აქტიური ჩართულობა და მონიტორინგი. აღნიშნული მიზნით, CDD დააკვირდა 2018 წლის 13 მაისს - ზუგდიდში, 2019 წლის 19 მაისს - წყალტუბოსა და ტყიბულში, ხოლო 2021 წლის 2 ოქტომბერს - კრწანისის საარჩევნო ოლქში ხმის ელექტრონული დათვლის საპილოტე პროექტების განხორციელებას. საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ მომზადდა არაერთი რეკომენდაცია თუ მონიტორინგის ანგარიში, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.cdd.ge.

წინამდებარე დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია 2023 წლის 29 აპრილს გამართული საქართველოს პარლამენტის შუალედურ, მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე და საკრებულოების შუალედურ არჩევნებზე ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე, გაანალიზებულია კენჭისყრის პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების ასპექტები, წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები და არსებული გამოწვევები, რომელიც ჩვენი აზრით თან ახლდა ტექნოლოგიების გამოყენებას.

¹ „Georgia: Joint Opinion on Draft Amendments to the Election Code and the Law on Political Associations of Citizens“, Organization for Security and Co-operation in Europe, 20 December 2022. <https://bit.ly/3BYLvoA>

დოკუმენტში წარმოდგენილი რეკომენდაციების შემუშავებას საფუძვლად დაედო, როგორც უშუალო დაკვირვების შედეგები, ასევე სამაგიდე კვლევა, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული უცხო ქვეყნების გამოცდილება და საერთაშორისო პრაქტიკა.

იმედს ვიტოვებთ, რომ წინამდებარე ინფორმაცია დაეხმარება საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებს გაანალიზონ მიღწეული შედეგები და აღმოფხვრან არსებული ხარვეზები, რაც, ჩვენი აზრით მნიშვნელოვნად შეუწყობს 2024 წელს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებისა და პრინციპების დაცვით ჩატარებას, რომელიც პირველად დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით და ელექტრონული ტექნოლოგიების მასშტაბური გამოყენებით უნდა გაიმართოს.

ზოგადი შეფასება

CDD-ის სადამკვირვებლო მისიის შეფასებით არჩევნების დღემ უმეტესად მშვიდ და ორგანიზებულ გარემოში, მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე ჩაიარა. საარჩევნო პროცედურები მეტწილად დაცული იყო.

ჩვენი დაკვირვებით ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის პირობებში რიგი პოზიტიური მიმართულებები გამოიკვეთა (ამომრჩეველთა მოქნილი რეგისტრაციის, ხმების დათვლის სიმარტივის, წინასწარი შედეგების დროული გამოქვეყნებისა და შედეგების სიზუსტის ნაწილში), რაც მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს. მაგრამ ამავედროულად გასათვალისწინებელი ის გარემოებაც, რომ ეს იყო მცირე მასშტაბის, ნაკლებად კონკურენტული და ჩვეულებრივზე ნაკლებად დაძაბული არჩევნები და მიუხედავად ადმინისტრაციის ძალისხმევისა, ელექტრონული ტექნოლოგიების წარმატებული და სრული პილოტისთვის არ იყო საკმარისი ამომრჩეველთა ინტენსივობა/ უწყვეტობა, რათა დროსა და მოქმედებაში მომხდარიყო ელექტრონული ტექნოლოგიების მკაცრი ტესტირება და მისი გამოყენების ეფექტიანობის და ეფექტურობის შეფასება.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ ტექნიკური და პოლიტიკური საკითხები იქნება ბევრად უფრო საყურადღებო 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის და ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის პროცესთან დაკავშირებით არსებული ყველა გამოწვევა, მისი აღმოფხვრისა და გათვალისწინების გარეშე, შექმნის მნიშვნელოვან რისკებს არჩევნების სანდოობასა და მთლიანობასთან დაკავშირებით.

გემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ჩვენი სადამკვირვებლო მისიის მიერ ქვემოთ წარმოდგენილი მიგნებები მოიცავს, როგორც ტექნიკური ტიპის, ასევე უფრო ფართო ხასიათის შეფასებებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება არსებითად მნიშვნელოვანია 2024 წლის არჩევნების ორგანიზებულად და გამჭვირვალედ ჩასატარებლად.

ქირითადი მიგნებები და რეკომენდაციები:

საარჩევნო უბნების გაართიანებამ და ამომრჩევლების კენჭისყრის ახალ ადგილზე გადასახლებაზე რიგი გაუგებრობები გამოიწვია. ჩვენი დაკვირვებით ამომრჩევლები არ იყვნენ სავარისად ინფორმირებულნი საარჩევნო უბნების ადგილმდებარეობის ცვლილებასთან, ასევე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრის ჩატარებასთან დაკავშირებით. ამავდროულად იყო საარჩევნო უბნები, სადაც კენჭისყრის ოთახის ფართი არ იყო სავარისი, რაც იწვევდა რიგებს და აწერხებდა კენჭისყრის პროცესს.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრის ჩასატარებლად უფრო ხელმისაწვდომი და დიდი სივრცეების შერჩევა, რომელთაც ექნებათ შესაბამისი ვენტილაცია. კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად „სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კენჭისყრის პროცესისათვის აუცილებელი ფართი“.²
- მიუხედავად იმისა, რომ ცესკოს გააჩნია საარჩევნო უბნების რუკა, მნიშვნელოვანია მოხდეს მისი გაუმჯობესება Google map საძიებო სისტემის ნავიგაციის ფუნქციისა და მობილური აპლიკაციების ეფექტური გამოყენებით, რაც მისცემს ამომრჩევლებს და არჩევნებში ჩართულ მხარეებს საარჩევნო უბნების მარტივი იდენტიფიცირების საშუალებას.
- ხელისუფლებამ და საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა მოახდინოს მთელი თავისი რესურსის მობილიზება, რათა ფართო საზოგადოებას მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია კენჭისყრის პროცედურებისა და ახალი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ. ასეთი ძალისხმევა, გარდა მასმედიის გამოყენებისა, შეიძლება მოიცავდეს გრძელვადიან საინფორმაციო კამპანიას სატელეტურ ადგილებში (სავაჭრო ცენტრები და სხვა), ასევე ამომრჩევლის წახალისებაზე ორიენტირებულ ეფექტურ აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს არჩევნების დღეს დაბნეულობის შემცირებას და მონაწილეობის გაძლიერებას.
- მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა ბარათის გავრცელების ეფექტური და დამატებითი მექანიზმების დანერგვა, მაგალითად: გაციფრულება და ელექტრონულად დაგზავნა, SMS სერვისი და სხვა.
- მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების შეცვლაზე ორიენტირებული ეფექტური კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება, რათა არჩევნების დღეს არ მოხდეს ამომრჩეველთა უფლების შეზღუდვა არასათანადო დოკუმენტაციის გამო.

² Code of Good Practice in Electoral Matters, Guidelines and Explanatory Report, (2002) Venice Commission, accessible at <https://rm.coe.int/090000168092af01>

კენჭისყრის პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება საჭიროებს სპეციფიურ ტექნიკურ უნარებს კომისიის ხელმძღვანელი პირების/წევრების და სხვა უფლებამოსილი პირების მხრიდან, რომლის არქონაც მნიშვნელოვნად აფარხებს პროცედურების ზედმიწევნით და დროულად განხორციელებას. არასახარბილოა იმ კომისიის წევრთა სწავლად, რომლებიც სწავლად ვერ დაეწინაურნენ მოსამზადებელ ტრენინგებს. რიმ უამთხვევაში საუბრო საარჩევნო კომისიებმა ვერ უზრუნველყვენ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრის პროცესის და მასთან დაკავშირებული რისკების დამოუკიდებლად მართვა.

რაკომენდაციები:

- მიუხედავად იმისა, რომ ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელა საარჩევნო კომისიის წევრთა მომზადების რამდენიმე ეტაპიანი პროფილური სასწავლო პროგრამა, მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს საარჩევნო კომისიის ყველა წევრის სათანადო და სრულყოფილ მომზადებას, პრაქტიკული უნარების განვითარების კომპონენტით, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრის დღის ყველა პროცედურასთან დაკავშირებით. კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად „არჩევნების მომზადებისთვის და ჩატარებისთვის აუცილებელია სათანადოდ მომზადებული კადრები“.
- აუცილებელია შემუშავდეს ეფექტური მექანიზმები ტრენინგებზე კომისიის წევრთა დასწრებისა და ჩართულობისთვის. ასევე მნიშვნელოვანია საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევის პროცესში მიეცეს ყურადღება სპეციფიურ უნარებს, რომელიც საჭიროა ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენებისთვის.
- საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დამხმარე პერსონალის (ე.წ. სპეც. ჯგუფების) დაქირავებამ, დადებითი შედეგი იქონია ხმის მიცემის პროცესზე. თუმცა მიგვაჩნია, რომ მომავალი ეროვნული არჩევნებისთვის საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსის მობილიზება რთული ლოგისტიკური გამოწვევაა და შესაბამისად მნიშვნელოვანია მსგავსი ჯგუფის ფორმირების პროცესის ეფექტური მექანიზმების შემუშავება და გადამზადების პროგრამის განხორციელება.



კანდიდატის დღის პროცედურაჲი, ელექტრონული ტექნოლოგიის გამოყენების ფორმა, საკმაოდ გადატვირთულია და ზოგიერთი მათგანი პარალელურ რეჲიმში ხორციელდება, რაც ჩვენი დაკვირვებით ქაოსის შეგრძნებას ტოვებდა და პროცედურების სრულფასოვნად განხორციელებას უზღიდა ხელს. ჩვენი დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა რიგი პროცედურების არათანმიმდევრული და ხესკოს მიერ დადგენილ წესთან შეუსაბამო მოქმედაჲი, კერძოდ:

- ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები, გააქტიურდა 08:00 სთ-ზე, რის გამოც ვერ მოხდა რიგი პროცედურების დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელება.
- რიგ საარჩევნო უბნებს, სადაც ორგანიზაციამ დაკვირვება განახორციელა, არ ჰქონდათ ხმის დამთვლელი სპეციალური აპარატის შესამონმებლად განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენის ფორმატის ქაღალდი (შტრის კოდის და QR კოდის გარეშე), ზემდგომი კომისიების მითითებით მოხდა ჩვეულებრივი A4 ფორმის ქაღალდის გამოყენება, რამაც გამოიწვია აპარატის მუშაობის და შესაბამისად კენჭისყრის პროცესის შეფერხება.
- საუბნოსაარჩევნო კომისიის თავმჯდომარეების მოადგილეების მხრიდან უმეტეს შემთხვევაში არ ხდებოდა კენჭისყრის აუდიტის დადასტურების ფორმის პროცედურის დაცვით შევსება, რაც ჩვენი აზრით შემაფერხებელი ფაქტორია კენჭისყრის პროცესის დეტალური ანალიზისა და სრულფასოვანი შეფასებისთვის.
- ამომრჩეველები საარჩევნო ბიულეტენების აპარატში მოთავსების პროცესში უფრო მეტ დროს ანდომებენ, ვიდრე ბიულეტენის პირდაპირ ყუთში ჩაყრას დაჭირდებოდა, რაც ჩვენი აზრით და დაკვირვებით დიდ საარჩევნო უბნებზე, მაღალი აქტივობის პირობებში, შექმნის გარკვეულ რისკებს და გაართულებს ხმის მიცემის პროცესს.
- ზოგიერთ საარჩევნო უბნებზე, სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 800-ს აღემატებოდა, გამოყენებულ იქნა ერთზე მეტი გადასატანი საარჩევნო ყუთი. მართალია





აღნიშნული პროცედურა, როგორც შესაძლებლობა, გათვალისწინებულია ცესკოს დადგენილებით, თუმცა არ არის მკაფიოდ განსაზღვრული რა პრინციპის და გარემოებების გათვალისწინებით ხდება გადასატანი საარჩევნო ყუთების განაწილება (ერთზე მეტი) და ვინ იღებს აღნიშნულთან დაკავშირებით გადანყვეტილებას.

- ◆ დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ამომრჩეველი კვცავდა საარჩევნო ბიულეტენს და ისე ათავსებდა ჩარჩო კონვერტში. აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიები მოქმედებდნენ არაერთგვაროვნად. რიგ შემთხვევაში ამომრჩეველი ხმის დამთვლელ აპარატთანვე იღებდა ჩარჩოდან დაკეცილ ბიულეტენს, ასწორებდა, ათავსებდა ისევ ჩარჩო კონვერტში და შემდგომ აპარატში, რა დროსაც ირღვეოდა ფარულობა.
- ◆ დაფიქსირდა არაერთი მცდელობა, როდესაც ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატის მიერ მობრუნებულ ბიულეტენს ზედამხედველი კომისიის წევრების მითითებით ამომრჩეველები, ან რიგ შემთხვევაში უშუალოდ ზედამხედველი კომისიის წევრები, ხელმეორედ (რამოდენიმეჯერ) ატარებდნენ ისევ აპარატში, მაშინ როდესაც, ცესკოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, პირველივე მობრუნების შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენი ითვლება გაფუჭებულად. ამავდროულად აღნიშნული წესის დარღვევის პროცესში ასევე არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი ხმის მიცემის ფარულობა.
- ◆ იყო შემთხვევები, როდესაც ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონულ აპარატი ვერ კითხულობდა ცარიელი მხრიდან მიმართულ ბიულეტენს და უკან აბრუნდებდა, სხვა უბნების შემთხვევაში აღნიშნული პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდა.
- ◆ ხშირ შემთხვევაში, საარჩევნო ბიულეტენებს ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში ათავსებდნენ არა ამომრჩეველები არამედ საარჩევნო ყუთისა და აპარატის/ აპარატების ზედამხედველი კომისიის წევრები, მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩეველებს დამოუკიდებლად შეეძლოთ მოთავსება.

- ♦ რიგ საარჩევნო უბნებზე დაფიქსირდა რიგები, როგორც ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატებთან, ასევე ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებთან, რაც აფერხებდა ხმის მიცემის პროცესს.
- ♦ იყო შემთხვევები, როდესაც აპარატი ვერ კითხულობდა და უკან აბრუნებდა ისეთ ბიულეტენებს, რომლებზეც იყო: სითხის კვალი, დაბინძურების კვალი და სხვა, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა უამინდობის პირობებში (მაგ. ფოთში წვიმიანი ამინდის გამო, აღნიშნული ხარვეზი საკმაოდ ხშირად დაფიქსირდა).
- ♦ მიუხედავად მრავალწლიანი ძალისხმევისა და საკანონმდებლო შეზღუდვებისა კვლავ დაფიქსირდა მანკიერი პრაქტიკა საარჩევნო უბნის მიდამოებში პარტიული ჯგუფების/კოორდინატორების ყოფნისა, რომლებიც აღრიცხავენ ამომრჩევლებს. რაც ჩვენი აზრით ქმნის დაშინების გარემოს და შესაძლებელია აღქმული იქნას, როგორც ამომრჩევლის ნების თავისუფლებაზე ზეწოლის მექანიზმი.
- ♦ რიგ საარჩევნო უბნებზე, გადასატანი საარჩევნო ყუთიდან საარჩევნო ბიულეტენების აპარატში მოთავსების პროცესში, არ ხდებოდა ხმის ფარულობის სათანადო დაცვა, როგორც ეს პროცედურით არის დადგენილი.
- ♦ საუბნო საარჩევნო კომისია არასრულფასოვნად იყო ინფორმირებული ბიულეტენის ბათილობის საფუძვლებზე. მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრატორებმა საკმაოდ კარგად იმუშავეს ბიულეტენის შევსების წესის ახსნაზე, მაინც იყო შემთხვევები, როცა დაფიქსირდა წრის ტრადიციული მეთოდით შემოხაზვის შემთხვევები, რაც ჩვენი აზრით შეიძლება ჩაითვალოს მონიშნულად და ესეთი ბიულეტენები, ნაცვლად იმისა რომ კომისიას დაედგინა ამომრჩევლის განზრახვა, პირდაპირ ბათილად იქნა მიჩნეული. კარგი პრაქტიკის კოდექსის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით „ეჭვის შემთხვევაში კომისიამ უნდა შეეცადოს დაადგინოს ამომრჩევლის განზრახვა“.³
- ♦ ხმის დამთვლელი აპარატიდან მონაცემების გადატანა პლანშეტში მოხდა ე.წ. სპეციალური მესხიერების ბარათის გამოყენებით. აღნიშნული პროცედურა განხორციელდა საუბნო საარჩევნო კომისიის სახელმძღვანელო ინსტრუქციის მიღმა, რამაც ჩვენი დაკვირვებით გააჩინა კითხვები სანდოობასთან და მონაცემების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით აუცილებელია, რომ „შედეგების გადაცემა ღია და გამჭვირვალე წესით განხორციელდეს... გარანტირებული უნდა იყოს სისტემის გამჭვირვალობა“.⁴
- ♦ ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ, ე.წ. პლანშეტის გამოყენებით მონაცემთა გადაცემის პროცესში, ადგილი ჰქონდა ქსელის შეფერხებას და სერვერის გადატვირთულობას, რის გამოც ფერხდებოდა ინფორმაციის გადაცემა. მართალია მცირე რაოდენობის უბნების შემთხვევაში აღნიშნულმა პროცესმა მნიშვნელოვანი გავლენა არ იქონია შედეგების დროულ გამოქვეყნებაზე, თუმცა საერთო არჩევნებზე აღნიშნული გარემოება შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი.

3 Code of Good Practice in Electoral Matters, Guidelines and Explanatory Report, (2002) Venice Commission, accessible at <https://rm.coe.int/090000168092af01>

4 Ibid.



- რიგ საარჩევნო უბნებზე, კენჭისყრის პროცედურების განხორციელებას, მეტწილად „ხელმძღვანელობდნენ“ (გასცემდნენ მითითებებს და უშუალოდ მონაწილეობდნენ გარკვეული პროცედურის განხორციელებაში) ზემდგომი საარჩევნო კომისიის (ცესკო/ოლქი) წარმომადგენლები/საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, რაც ჩვენი აზრით მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ვინაიდან მასშტაბური არჩევნების პირობებში ერთი მხრივ, რთულია შესაბამისი რაოდენობის ადამიანური რესურსის მობილიზება და მეორე მხრივ, ეს შესაძლოა აღიქმებოდეს საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობაში ჩარევად და ხელს უშლიდეს კომისიის მხრიდან უფლებამოსილების დამოუკიდებლად განხორციელებას.
- დაფიქსირდა არაერთგვაროვანი პრაქტიკა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული საარჩევნო ინვენტარის და ბიულეტენების დასაწყობება/შენახვის პროცესში. იყო შემთხვევები, როდესაც აპარატები საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაეცათ დაუიქმებოდა მდგომარეობაში, არ ხდებოდა დოკუმენტაცია/ინვენტარის აღრიცხვა და დასაწყობების პროცესში მოქმედებდა უამრავი პირი, რომელთა იდენტიფიცირებაც სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ შეუძლებელი იყო.
- ჩვენი დაკვირვებით კენჭისყრის კაბინის კონსტრუქცია, კაბინის წინ არსებული ღია ნაწილის ე.წ. „ფანჯრის“ და უკანა ნაწილის ღიაობის გამო, ქმნის ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის რისკებს და ტოვებს ამომრჩევლის ნების საჯაროდ გამოვლენის შეგრძნებას. აღნიშნული, განსაკუთრებულად შესამჩნევი იყო იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც კენჭისყრის ოთახის ფართობი შედარებით მცირეა და ბევრი უფლებამოსილი პირი იყო წარმოდგენილი.

რეკომენდაციეჲი:

- მნიშვნელოვანია ელექტრონული აპარატეჲის გასააქტიურებელი კოდეჲი და გასაღეჲი საუბნო საარჩევნო კომისიეჲს გადაეცეთ დალუქულ მდგომარეობაში და კენჭისყრის დღეს მოხდეს მისი საჯაროდ გახსნა.
- მნიშვნელოვანია ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატისა და ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის გასააქტიურებელი კოდეჲის შესახებ ინფორმაცია, აისახოს ჩანაწერთა წიგნში. ამავდროულად სასურველია ჩანაწერთა წიგნში აღინიშნოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის რომელი აპარატი რომელ რეგისტრატორს გადაეცა.
- მნიშვნელოვანია ცესკოს დადგენილებით მკაფიოდ განისაზღვროს თუ რა პრინციპის და გარემოებეჲის (მათ შორის ყუთის მიტანის მსურველ განმცხადებელთა რაოდენობა, მათი საცხოვრებელი მისამართი და სხვა) გათვალისწინებით ხდება გადასატანი საარჩევნო ყუთეჲის განაწილება (ერთზე მეტი) და ვინ იღებს აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას.
- მნიშვნელოვანია კანონმდებლობით ან/და ცესკოს დადგენილებით მკაფიოდ განისაზღვროს, რომ საარჩევნო უბანში ყოფნის უფლები მქონე პირს, მათ შორის კომისიის წევრს ეკრძალება ხმის მიცემის პროცესში საარჩევნო ბიულეტენზე შეხება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევეჲისა.
- მნიშვნელოვანია ელექტრონული ტექნოლოგიეჲის გამოყენეჲის პროცესში გეოგრაფიული და ბუნებრივი სპეციფიკაციის გათვალისწინება, მათ შორის ტენიანობა, კლიმატური პირობეჲი და სხვა. რაც შეამცირებს გარემო პირობეჲით აპარატეჲის გაუმართაობის რისკეჲს.
- მნიშვნელოვანია QR კოდეჲის გამოყენება საბოლოო შედეგეჲის ფურცელზე, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მხარეეჲს, სადამკვირვებლო ორგანიზაციეჲსა და პოლიტიკური პარტიეჲს, პარალელურად და დროულად შეძლონ შედეგეჲის გაერთიანება და გადამოწმება, რისი პრაქტიკაც არის უცხო ქვეყნეჲში.
- მნიშვნელოვანია გადაიხედოს ბიულეტენის ბათილობის საფუძველები, იქ სადაც აპარატმა ვერ აღიქვა ამომრჩეველის განზრახვა და აშკარად არის ამომრჩეველის ნება გამოხატული, კომისია უნდა იყოს ვალდებული იმსჯელოს და არ ჩათვალოს ამომრჩეველის ხმა ბათილად მხოლოდ იმ მიზეზით, რომ აპარატმა ვერ აღიქვა გასაფერადებელი წრე.
- მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები უფლებამოსილებეჲი და მაქსიმალურად შეიზღუდოს მათი მხრიდან საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობაში ჩარევა, რაც ჩვენი აზრით გაზრდის საუბნო საარჩევნო კომისიეჲის დამოუკიდებლობის ხარისხს.
- ცხადია, რომ ელექტრონული ტექნოლოგიეჲის დანერგვამ გააჩინა დამატებითი სივრცის, ლოგისტიკური/სატრანსპორტო მომსახურეჲისა და მენეჯმენტის საჭიროება, ამიტომ მნიშვნელოვანია მომავალი არჩევნეჲისთვის დეტალურად იქნას განსაზღვრული საწყობეჲის და ლოგისტიკური/სატრანსპორტო მომსახურეჲის სახელშეკრულებო ვალდებულებეჲი და

ყველა დამატებითი რგოლის საჭიროების შემთხვევაში (საწყობი, საოლქო საარჩევნო კომისიის სივრცე და ა.შ.) აუცილებელია სენსიტიური დოკუმენტაციისა და აპარატურის დახარისხების მკაფიო რეგულაციების შემუშავება.

- საერთაშორისო კარგი პრაქტიკის თანახმად ფარული კენჭისყრის პრინციპი ხმის ფარულობის დაცვის ფართო სპექტრს მოიცავს, მათ შორის, კენჭისყრის კაბინაში სხვების თვალთახედვისგან ამომრჩეველთა დაცვას/დაფარვას, შესაბამისად მნიშვნელოვანია კენჭისყრის კაბინის იმგვარი მოდიფიცირება, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს არჩევნების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპის - ხმის ფარულობის დაცვას.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას აქვს თავისი უპირატესობები, მისმა გამჭვირვალობის, საჯაროობისა და ინკლუზიურობის პრინციპების გარეშე გამოყენებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საარჩევნო პროცესს და არჩევნების შედეგების მიმართ ფართო საზოგადოების ნდობას, განსაკუთრებით კი პოლარიზებულ გარემოში.

რაკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია ჩართული მხარეების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების და მედიის წარმომადგენლების, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების ინფორმირებაზე ორიენტირებული ეფექტური მექანიზმების შემუშავება და სასწავლო პროგრამების განხორციელება.
- შედეგების სანდოობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია შეიქმნას შესაძლებლობა (პარალელური სერვერი ან სხვა), სადაც აკრედიტებულ პირებს/სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, ექნებათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ და გადაამოწმონ საარჩევნო უბნებიდან გადაცემული მონაცემები, რისი პრაქტიკაც არის უცხო ქვეყნებში. ამავდროულად მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაციამ შეიმუშავოს და დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს, საუბნო საარჩევნო კომისიებიდან ინფორმაციისა და მონაცემების გადაცემის სექმატური დიაგრამა.
- მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის სადამკვირვებლო ორგანიზაციები, წინასწარ იყვნენ ინფორმირებული არჩევნებთან დაკავშირებული ყველა აქტივობის შესახებ, როგორცაა: აპარატების საჯარო დემონსტრირება, ელექტრონული აპარატების და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების ქვემდგომი კომისიებისთვის მიწოდება, აპარატების ტესტირება/დალუქვა და სხვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობა და გამჭვირვალობა.
- მნიშვნელოვანია ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების და საარჩევნო პროცესის სხვა ელემენტების საფუძვლიანი და ინკლუზიური საჯარო განხილვა არჩევნების შემდგომ პერიოდში. ეს ხელს შეუწყობს პრობლემური სფეროების იდენტიფიცირებას, ტექნოლოგიების გამოყენების გაუმჯობესებას, საარჩევნო მთლიანობისა და საზოგადოების ნდობას ამაღლებას.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეამცირა დროში და გაამარტივა ამომრჩეველთა რეგისტრაციის, კენჭისყრის შედეგების დათვლისა და წინასწარი შედეგების გამოქვეყნების პროცედურების განხორციელება თუმცა, ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი დაკვირვების შედეგებით, წარმოქმნა გარკვეული რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საჯაროობასთან, ხელმისაწვდომობასთან, ხმის მიხედვის ფარულობის დაცვასთან და აპარატების გაბარებულ ფუნქციონირებასთან.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით არსებითი და პრინციპული საკითხები დარეგულირდეს საარჩევნო კანონმდებლობით და არა ცესკოს დადგენილებით, რაც შექმნის არჩევნების მთლიანობის დაცვის მყარ გარანტიას და უზრუნველყოფს სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას.
- მნიშვნელოვანია ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით გასამართი არჩევნების მარეგულირებელი ჩარჩო ეფუძნებოდეს საერთაშორისო კარგ პრაქტიკას. ქართული საარჩევნო საკანონმდებლო ბაზის გათვალისწინებით რეგულაციები უნდა იყოს რაც შეიძლება დეტალური, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ადგილზე ინტერპრეტაციების საშუალება, რაც ისევ ხაზგასმით რომ აღინიშნოს ფართომასშტაბიანი არჩევნების პირობებში შეიძლება ბევრი გაუგებრობის მიზეზი გახდეს.
- მნიშვნელოვანია ხმების დამთვლელი სპეციალური აპარატის სერიული ნომრების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ინფორმაცია აპარატების ტესტირებისა და დალუქვის განრიგის შესახებ იყოს საჯარო, ოლქების და უბნების მიხედვით, რისი პრაქტიკაც არის უცხო ქვეყნებში.
- მნიშვნელოვანია კანონმდებლობით განისაზღვროს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით კენჭისყრის ფარულობის დაცვის უფრო მყარი გარანტიები და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა რათა უზრუნველყოფილ იქნას ხმის მიცემის ფარულობა.





- მნიშვნელოვანია საარჩევნო უბანზე ნებისმიერი ტექნიკური საშუალებების (ელექტრონული აპარატები, პლანშეტი, მეხსიერების ბარათი, ქსელის მონწყობილობა თუ სხვა) სრული აღწერილობა, მისი გამოყენების წესი და მიზნები იყოს დეტალიზებული და საჯარო (როგორც მუშაობს ხმის დათვლის აპარატი, რა პორტები და გამოსასვლელი აქვს, რა სტანდარტი გამოყენება ბიულეტენების დათვლისას, ეკრანზე რა ინფორმაცია გამოიტანება და ა. შ.).
- მნიშვნელოვანია შემუშავდეს ტექნიკური ან/და რაიმე სხვა სახის რეგლამენტი, სადაც დეტალურად იქნება განხილული ელექტრონული აპარატების აწყობის/დაშლისა და სინქრონიზაციის პროცედურები, უსაფრთხოების საკითხები, გაუმართაობის შემთხვევაში რეაგირების გეგმა და ა. შ. მიგვაჩნია, რომ მსგავსი ტექნიკური ნორმებისა და წესების არსებობა მნიშვნელოვანია პროცესის ერთგვაროვანი წარმართვის, მონიტორინგის და შეფასებებისთვის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს პროცესით მანიპულირებისა და არასწორი ინფორმაციის გავრცელების რისკების შემცირებას.
- მნიშვნელოვანია შემუშავდეს ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში მონაცემთა კონფიდენციალურობისა და ტექნიკური უსაფრთხოების პოლიტიკა. აუცილებელია კანონით განისაზღვროს კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების დაცვის გარანტიები და სისხლისსამართლებრივი სანქციები ელექტრონული ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში.
- იმ შემთხვევაში თუ სამომავლოდ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგები დადგინდება მხოლოდ ხმის დათვლის აპარატების გამოყენებით, აუცილებელია დაინერგოს ამომრჩევლის მიერ გადამონშებადი ქალაქის აუდიტის ბილიკი (VVPAT), როგორც ეს არის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რათა ელექტრონული აპარატის მიერ დათვლილი შედეგების გადამონშება იყოს ხელით შესაძლებელი, აუდიტის წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

CDD

